პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 12 (3242)

17 1967 წ. იანვარი, სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

რ. აბუანდაძე და ა. მეტრეველი— ინდოეთის ჩემპიონები

როგორც ახლა ცნობილი გახდა, ქალაქ ბანგალურის მიწის კორტებზე გამართულ ინდოეთის ღია ჩემპიონატში ამ ქვეყნის უძლიერესის სახელი შერეულ წყვილთა შორის მოიპოვეს ქართველმა ჩოგბურთელებმა რ. აბუანდაძემ და ა. მეტრეველმა.

კვირას, 15 იანვარს თბილისის სადგურზე ჩამოდგა ტურისტული მატარებელი „შოთა რუსთაველი“, რომელმაც დედაქალაქში ჩამოიყვანა მაიაკოვსკის რაიონის 450 მოწინავე მშრომელი. სტუმრებს შეხვდნენ ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორი ს. კახიანი, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი დ. თავხელიძე, სამედიცინო ინსტიტუტის დოცენტები გ. ბრეგაძე და შ. თავხელიძე, პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი ნ. ქუთათელაძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ს. ჯაფარიძე—ისინი, ვინც მაიაკოვსკის რაიონში დაიბადა და აიდგა ფეხი. მაიაკოვსკელთა დასახვედრად სადგურზე გამოვიდნენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული განყოფილების გამგის მოადგილე გ. გვასალია, საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის განყოფილების გამგე ო. ივანაშვილი, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი დ. იოსელიანი, ტურიზმის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ი. ლარიბაშვილი და სხვები, აგრეთვე, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლები.

ჩამოსულთა შორის არიან საკოლმეურნეო შრომის გმირები, სოფლის ინტელიგენციის წარმომადგენლები, რაიონის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები.

• • •

სურათზე: მაიაკოვსკის რაიონის მშრომელთა ერთი ჯგუფი სპორტის სასახლესთან.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

გუშინ...

მოჭადრაკე ვაჟთა 34-ე ჩემპიონატის XII ტურში შტეინმა მოუგო ხოლმოვს, ლეინმა — სუეტინს, გუფელდმა — ვასიუკოვს, ხოლო გელერ — ნეისა და ლიბერზონ — გიპსლისის შეხვედრები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

კორჩნოი და ლეინი ყაიმზე შეთანხმდნენ XI ტურის გადადებულ პარტიაში.

XII ტურის შემდეგ ლიდერობენ ა. ლეინი (7,5 ქულა), ლ. შტეინი, ნ. კროგიუსი (7-7 ქულა და თითო გადადებული პარტია).

სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციაში

მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა. განხილულ და დამტკიცებულ იქნა ფედერაციის წლევანდელი მუშაობის გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები.

როგორც ცნობილია, საიუბილეო წლის ყველაზე დიდი სპორტული მოვლენა სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაა, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავს ეძღვნება. მოსკოვში გამართული ფინალური შეჯიბრებების დროს მოეწყობა პრეს-ცენტრი, რომელიც მოემსახურება მოკავშირე რესპუბლიკების გაზეთების, ჟურნალების, რადიოს, ტელევიზიის თანამშრომლებს.

პრეზიდიუმმა პრეს-ცენტრის ხელმძღვანელად დაამტკიცა ჟურნალ „ფიზკულტურა ი სპორტის“ მთავარი რედაქტორი, სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის წევრი პ. სობოლევი.

ყაიმის მოძულეთა ბრძოლა

XI ტური დაიწყო და მეტოქენი მალე 4 შეხვედრაში შეთანხმდნენ ყაიმზე.

გუფელდმა და გელერმა ესპანური პარტიის მარშალის იერიში გაითამაშეს და 17 თეორიული სვლით დაამთავრეს პაექრობა. 5 სვლით მეტი გაკეთდა ნეი—სმისლოვისა და გიპსლის—კროგიუსის პარტიებში. აქ მეტოქეებმა ხელი მიჰყვეს ფიგურების გაცვლას და ბრძოლის გამარტივება სცადეს. ხოლმოვმა და ოსნოსმაც მათ მიბაძეს.

„დიდოსტატური ყაიმების“, როგორც უარყოფითი მოვლენის პრობლემა, 40-იანი წლების მიწურულს წამოიჭრა. იგი წარმოშვა ტურნირების (მსოფლიო პირველობის, სსრ კავშირის ჩემპიონატებისა და სხვა ასპარეზობათა) შერჩევითმა ხასიათმა. ერთი შეჯიბრებიდან მეორეში მოსახვედრად მოჭადრაკეს ოსტატობასთან ერთად დიპლომატური გამჭრიახობაც სჭირდება: ვისთან ითამაშოს მოგებაზე, ვისთან ყაიმზე. სწორედ ასეთი პოლიტიკა იწვევს ყაიმების სიმრავლეს, რასთან ბრძოლაც თითქმის შეუძლებელია. ყაიმზე ნაადრევი შეთანხმების არავითარი აკრძალვა არ იძლევა ქმედით შედეგს. ამიტომ ჩვენს ჩემპიონატში ეს „ვეტო“ არ შემოუღიათ.

დიდოსტატ პ. კერესის სიტყვით, 30-იან წლებში მხოლოდ ა. ალიოხინი, ხ. კაპაბლანკა, მ. ბოტვინიკი, ს. ფლორი, რ. ფაინი და ს. რეშევსკი იყვნენ დაუფლებული ყაიმის ტექნიკას. დღეს კი ეს აღარავის უჭირს.

ყაიმებით ფონს ვერ გახვალ. იგი არაფერს აძლევს არც გულსა და არც სულს. შემოქმედებითი ბრძოლა კი ყველა მოჭადრაკისთვის სიხარულის მომტანია. ამიტომ იმართება ამ ბოლო დროს ტურნირები, სადაც არავინ უნდა „შეირჩეს“. მაგალითად, მ. ჩიგორინისა, ხსოვნისა და სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის საერთაშორისო ასპარეზობები.

ბევრი დიდოსტატი (კორჩნოი, ბრონშტეინი, პოლუგაევსკი, შტეინი და სხვები, მ. ტალზე რომ არაფერი ვთქვათ) ყაიმის მოძულეა. მათი პარტიები მუდამ ყურადღებას იქცევს.

დავუბრუნდეთ ჩემპიონატს. ლეინმა ინგლისური დაწყებიდან თანაბარი პოზიცია მიიღო. კორჩნოი კი მეტოქეს ბრძოლაში იწვევდა. ცენტრი დაიპყრო და ლაზიერის ფრთას შეუტია. ოსტატმა ბევრი ფიგურა გაცვალა და საყაიმო სიტუაცია შექმნა. მაგრამ კორჩნოიმ პარტია გადადო.

შეუპოვრად იბრძოდნენ პოლუგაევსკი და შტეინი. პარტია არ დამთავრებულა. პოლუგაევსკის მცირე უპირატესობა აქვს: ორი კუ ორი მხედრის წინააღმდეგ. შტეინმა ყაიმისთვის უნდა იზრუნოს.

ბრონშტეინმა პერსპექტიული პოზიცია მიიღო სიცილიურ დაცვაში. ნირწამხდარი ლიბერზონი ყველა შეხვედრაში ყაიმს სჯერდება და ამ დღესაც დაზავება ჰქონდა გუნებაში. მან ლაზიერებიც გაცვალა, მაგრამ ბრონშტეინმა თამაშის შემდგომი გამარტივების საშუალება არ მისცა. ბრძოლა გამწვავდა. ბრონშტეინმა ცენტრალური პაიკი დათმო, ეტლით მე-7 ჰორიზონტალზე შეიჭრა და მეტოქეს ძნელი ამოცანები დაუსახა. პარტია გადაიდო.

არც გურგენიძეს უყვარს ყაიმი. იგი მუდამ შემოქმედებით ძიებაშია. ასე თამაში დიდ ენერგიასა და ფიზიკურ გამძლეობას მოითხოვს, რაც, სამწუხაროდ, ბუხუტის საკმარისი როდი აქვს. ამიტომ ვერ თამაშობს იგი ყველა შეხვედრას ერთნაირი ძალით.

ბუხუტიმ XI ტურშიც სუეტინთან ისევე ამაღელვებელი ბრძოლა გააჩაღა, როგორც ლეინთან და კორჩნოისთან შეხვედრებში. თავად გააანალიზეთ ეს საინტერესო პარტია, რომელიც გურგენიძის უპირატესობით მიმდინარეობდა.

გურგენიძე — სუეტინი

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 მc6 3. კb5 g6 4. 0—0 კg7 5. c3 მf6 6. ეe1 0—0 7. d4 ლb6 8. კ:c6 bc 9. e5 მd5 10. dc ლ:c5 11. მbd2 f5 12. ლa4 e6 13. მb3 ლe7 14. კg5 ლf7 15. ლh4 ეe8 16. ეad1 ლf8 17. c4 მb6 18. კf6 კa6 19. კ:g7 მფ:g7 20. ეd4 ლe7 21. ლ:e7 ე:e7 22. ეc1 ეb8 23. მa5 c5 24. ეd2 კb7 25. მe1 კa6 26. მd3 ეc8 27. b4 cb 28. მ:b4 კb5 29. c5 ეc7 30. f4 მa4 31. c6 dc 32. მb:c6 ეe8 33. ე1c2 ე8c8 34. მd4 ე:c2 35. ე:c2 ე:c2 36. მ:c2 მc3 37. მd4 კd7 38. მb7 მ:a2 39. მc5 კe8 40. მ:e6+ მფf7.

აქ პარტია გადაიდო. პოზიცია საყაიმოა. გურგენიძემ სვლა ჩაიწერა.

დაუმთავრებელი დარჩა სავონ—ვასიუკოვისა და დოროშკევიჩ—ნიკოლაევსკის პარტიებიც. სავონსა და დოროშკევიჩს უკეთესი პოზიცია აქვთ.

თ. გიორგაძე.

• • •

ჩემპიონატს მრავალი სტუმარი ესწრება. მაგრამ დიდოსტატები მ. ტალი (მარცხნივ) და ს. ფლორი განსხვავებული მაყურებლები არიან. (მარცხენა სურათზე) ისინი განცდილ-ნანახს ასიათასობით გულშემატკივრებს მოუთხრობენ გაზეთების „სოვეტსკი სპორტისა“ და „კომუნისტის“ მეშვეობით.

აი, ჩემპიონატის მონაწილენიც: დიდოსტატი ლ. შტეინი (მარცხნივ) **და დ. ბრონშტეინი** (მარჯვენა სურათზე). **მათი მზერა სადემონსტრაციო დაფისკენაა მიპყრობილი, როგორც ჩანს, კონკურენტის თამაში ძალიან საინტერესოა.**

ფოტო ა. სააკოვისა.

თბილისის ნორჩი დინამოელის ბავშვთა სპორტსკოლის ჯგუფებში 500-მდე მოცურავე ვარჯიშობს. მათგან ერთ-ერთი საუკეთესოა ს. ხარებოვი, რომელმაც პიონერთა რესპუბლიკურ თამაშებში ბრასით ცურვაში პირველობა და არტეკის საგზური დაისაკუთრა. ხარებოვი და მისი მეგობრები არტეკში ამ ზაფხულს წავლენ, მანამდე კი მწვრთნელ ა. სულავას ხელმძღვანელობით იმაღლებენ ტექნიკას.

• • •

სურათებზე: ზევით — ა. სულავა ესაუბრება ნორჩებს. ქვევით — ხარებოვი ვარჯიშისას.

ფოტო და ტექსტი ბ. ქვათაძისა.

თბილისის ნორჩი ჩემპიონები

თბილისის ნორჩ[illegible] პირველობაში, [illegible]რული სისტემით ჩატარდა, 30 მოსწავლე მონაწილეობდა. ჩემპიონის სახელი მოიპოვა მე-17 საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლემ, პირველთანრიგოსანმა ჯ. მუქნიაშვილმა (7,5 ქულა 10-დან).

II-III ადგილები გაიყვეს დ. ექვთიმიშვილმა (მე-10 საშუალო სკოლა) და მ. ძნელაძემ (მე-4 საშუალო სკოლა).

რ. ფერაძე.

ახალი ორიგინალური ილეთი

ერთი შეხედვით ქვემოთ აღწერილ ნაერთში რთული თითქოს არაფერია, მაგრამ თუ კარგად დაუკვირდებით, შეამჩნევთ: იგი ორიგინალობით და თავისებურებით გამოირჩევა.

წარმოიდგინეთ ტანმოვარჯიშე, რომელიც ისე ასრულებს სხვადასხვა ილეთს ღერძზე, რომ ყოველგვარი ადრინდელი წარმოდგენა ირღვევა მხრის სახსრის მოძრაობაზე.

ვიდრე ამ ვარჯიშზე დავიწყებდეთ ლაპარაკს, წინასწარ უნდა გაგაფრთხილოთ: ნაერთი უმაღლესი სიძნელისაა და მის შესრულებას მხოლოდ ის შეძლებს, ვისაც, ტანვარჯიშული ენით რომ ვთქვათ, ძალზე რბილი მხრები აქვს, თავისუფლად აკეთებს გრეხილს და ალმატრიალს უკნით კიდში.

ქვემოთმოყვანილ კინოგრამაზე ამ კომბინაციას ასრულებს ჩეხი ტანმოვარჯიშე ვ. სკოუმალი. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ახალგაზრდა თბილისელი ტანმოვარჯიშე ტ. მუჩიაშვილიც კარგადაა დაუფლებული ამ ვარჯიშს.

შესრულების ტექნიკა: დატაცით ალმატრიალის დროს (ხელები მხრებზე ოდნავ განივრად) ხელყირის გადაცილებისას ტანმოვარჯიშე თითქოს დუნდება, ემზადება ე. წ. „შუნგისთვის“ (კადრი 1, 2, 3, 4, 5). ღერძის ქვეშ გავლისას სპორტსმენი მაქსიმალურად ტანგაშლილია, იწყებს მეცლით ენერგიულ აკვრას (7, 8), მხრების შეტრიალებას (შეკუზი) და უკნით კიდში განაგრძობს ალმატრიალს. ამ მომენტისთვის დასაშვებია ხელების ოდნავ გადაადგილება.

მკერდის აკვრას წინ უსწრებს ფეხების სწრაფი, ენერგიული, წრიული მოძრაობა (9, 10, 11), რის შემდეგაც ტანი და ფეხები 90 გრადუსი კუთხით მოხრილი მოძრაობს. ამას ხელს უწყობს თავის ენერგიული წინ დახრა. მხრები და ტანი მაქსიმალურად სცილდება ღერძს.





უშუალოდ ღერძზე გადასვლისას ხელები და მთელი სხეული შვეულადაა მის მიმართ (12).

ამ მომენტიდან იწყება ტანის ოდნავ დამუხრუჭება, რის გამოც ფეხები დიდი ამპლიტუდით განაგრძობენ წრიულ მოძრაობას, ტანმოვარჯიშე მთლიანად იმართება წელში (13, 14, 15), სიმძიმის ცენტრი მაქსიმალურად სცილდება საყრდენს (16, 17, 18), თავი კვლავ მკერდზეა დახრილი. მომდევნო ფაზაში ტანის მოძრაობის შენელება ფეხების წრიულ მოძრაობას აძლიერებს (19, 20, 21). ტანმოვარჯიშე კვლავ სწორ კუთხემდე მოხრილ მდგომარეობაში განაგრძობს ტრიალს (22, 23, 24), ე. ი. კვლავ ასრულებს ალმატრიალს უკნით კიდში („იტალიური“).

ხელყირასთან მიახლოვებისას, ტანმოვარჯიშე ფეხების მოძრაობას ანელებს, რის შედეგადაც ფეხებს ტანი უსწრებს (რეაქტიული ძალა, 25). ამას აძლიერებს თავის ენერგიული აწევა. ასე რომ, ახლა (26) ტანმოვარჯიშე წელში გამართულია, ხელების ოდნავი გადატაცით და მხრების შეტრიალებით (გრეხილი) უბრუნდება პირვანდელ მდგომარეობას, ე. ი. ჩვეულებრივ ალმატრიალს აკეთებს.

ამ ილეთის ძირითადი ფაქტორი ისაა, რომ ტანმოვარჯიშე სულ დატაცში, ე. ი. ხელების ტაცის შეცვლის გარეშე ასრულებს ნაერთს.

ამ დროს სპორტსმენი არ შეიძლება იყოს დაძაბული. ილეთი სრულდება რბილი, შეუმჩნეველი მოძრაობით (მხრების შეტრიალებით), გარკვეულ მომენტებში ტანის ცალკეული ნაწილების ენერგიული ჩართვით. უნდა ვერიდოთ მკვეთრ ძალისმიერ მოძრაობას.

შესწავლის მეთოდიკა: ილეთის შესწავლა უნდა დაიწყოს პირველი, ანუ შეკუზის ფაზით (რა თქმა უნდა, იგულისხმება, რომ ტანმოვარჯიშე საკმაოდ კვალიფიცირებულია, უკვე აკეთებს გრეხილს და ალმატრიალს უკნით კიდში). თავდაპირველად ეს უნდა მოხდეს საშუალო სიმაღლის ღერძზე, რათა აქტიური დახმარების საშუალება გვქონდეს. შეიძლება ნაირსიმაღლის ორძელის გამოყენება.

ამ ნაერთის და საერთოდ, რთული ილეთების შესწავლისას ფართოდ უნდა გამოვიყენოთ წვრთნის თანამედროვე მეთოდიკა და ტექნიკური სიახლენი. მაგალითად, ფიზკულტურის ინსტიტუტის მასწავლებლის ა. ცომაიას ღერძი „ტრენაჟერი“, სპორტის დამსახურებული ოსტატის ა. ჯორჯაძის მიერ დამუშავებული მეთოდიკაც ღერძზე რთული ილეთების შესწავლისას სწრაფი ხმოვანი ინფორმაციის მიწოდების შესახებ.

იმედია ამ ვარჯიშით დაინტერესდებიან ტანმოვარჯიშეები და მწვრთნელები.

გ. ჟირმელაშვილი,
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტის მასობრივი სახეობების ფაკულტეტის დეკანი, სპორტის ოსტატი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

10 საქართველოს საუკეთესო

მძლეოსნობა

1966 წლის შედეგების მიხედვით

ქალები

ესტაფეტა 4×100 მ — თბილისის ნაკრები (ლ. იევლევა, გ. კონონენკო, თ. როჟმანოვა, ვ. ქუთათელაძე) — 47,2. 20. XI, კისლოვოდსკი; საქართველოს ნაკრები (ლ. იევლევა, თ. როჟმანოვა, გ. კონონენკო, ვ. ქუთათელაძე) — 47,9. 9. XI, თბილისი; საქართველოს ნაკრები (ლ. იევლევა, ვ. ქუთათელაძე, თ. როჟმანოვა, გ. კონონენკო) — 48,2. 18. X, თბილისი; საქართველოს ნაკრები (გ. კონონენკო, ვ. ქუთათელაძე, ვ. იახშიანი, თ. როჟმანოვა) — 48,3. 29. V, თბილისი; საქართველოს გოგონათა ნაკრები (თ. ეპიფანოვა, ვ. იახშიანი, გ. კონონენკო, ვ. ქუთათელაძე) — 48,5. 17. VII, მოსკოვი; სტუდენტთა ნაკრები (ნ. გაბეხაძე, თ. როჟმანოვა, ლ. შუმილინა, გ. კონონენკო) — 49,2. 1. VIII, მინსკი; უნივერსიტეტის ნაკრები (გ. კონონენკო, ნ. გაბეხაძე, ნ. ლომიძე, ლ. იევლევა) — 49,5. 18. X, თბილისი; საქართველოს ნაკრები (ვ. იახშიანი, ლ. შუმილინა, ნ. ლომიძე, ვ. ქუთათელაძე) — 49,6, 19. VII, ტარტუ; თბილისის ნაკრები (ნ. გაბეხაძე, თ. როჟმანოვა, გ. კონონენკო, ვ. ქუთათელაძე) — 49,7. 11. IV, თბილისი; „ბურევესტნიკი“ (ლ. ლობჟევა, ნ. ლომიძე, ნ. გაბეხაძე, გ. კონონენკო) — 49,9. 1. XI, თბილისი.

საშუალო შედეგი: 1965 წ. — არ იყო; 1966 წ. — 48,7.

სიმაღლეზე ხტომა — ჯ. ჩუბინიძე — 155. 4. III, ლენინგრადი; ი. ავსაჯანიშვილი — 155 (44), თბილისი, „ბურევესტნიკი“. 14. V, თბილისი; ლ. ილიუშინა — 155 (50), სოხუმი, „დინამო“. 12. VI, თბილისი; თ. როჟმანოვა — 152. 14. V, თბილისი; გ. კონონენკო — 152. 14. V, თბილისი; ს. ნაგორნაია — 150 (43), თბილისი, „ბურევესტნიკი“. 3. III, თბილისი; ლ. პატარიძე — 150, (42), თბილისი, „ბურევესტნიკი“. 13. V, თბილისი; გ. ხამაშურიძე — 150 (47), ქუთაისი, „სპარტაკი“. 15. VI, თბილისი; ზ. ხალიანი — 150 (48), ქუთაისი, „სპარტაკი“. 15. VI, თბილისი; ს. პონომარიოვა — 150. 8. VIII, ლესელიძე.

საშუალო შედეგი: 1965 წ. — 152, 1966 წ. — 152.

სიგრძეზე ხტომა — გ. კონონენკო — 582. 12. IV, თბილისი; ლ. იევლევა — 573. 30. X, თბილისი; თ. როჟმანოვა — 572. 2. X, ლენინაკანი; ც. ჩოლიაშვილი — 570 (46), თბილისი, „ბურევესტნიკი“. 29. V, თბილისი; დ. კაპანაძე — 562 (47), თბილისი, „ლოკომოტივი“. 18. VII, ტარტუ; ლ. ბალაშოვა — 556 (48), თბილისი, „დინამო“. 10. VIII, თბილისი; თ. პავლოვა — 555. 15. V, თბილისი; ლ. აბზიანიძე — 552 (48), ქუთაისი, განათლების განყოფილება. 7. VIII, ქუთაისი; ჯ. ჩუბინიძე — 544. 11. VII, ცესისი; ლ. შუმილინა — 538. 2. III, თბილისი.

საშუალო შედეგი: 1965 წ. — 564, 1966 წ. — 561.

ბადროს ტყორცნა — ლ. ტულუში — 51,53 (35), თბილისი, „დინამო“. 16. IV, ლესელიძე; ი. მხეიძე — 47,28 (40), თბილისი, „ლოკომოტივი“. 11. IV, თბილისი; ქ. კახიშვილი — 45,92 (35), რუსთავი, „განთიადი“. 9. XI, თბილისი; ვ. კომაროვა — 42,94 (48), თბილისი, „ბურევესტნიკი“. 3. X, თბილისი; ც. ჯაფარიძე — 39,74 (48), თბილისი, „ბურევესტნიკი“. 17. VII, მოსკოვი; ნ. ჩხეიძე — 39,26 (38), სოხუმი, „ბურევესტნიკი“. 11. IV, თბილისი; მ. უჩაძე — 38,01 (47), თბილისი, „ბურევესტნიკი“. 15. V, თბილისი; მ. თათარაშვილი — 38,00 (46), თბილისი, „ბურევესტნიკი“. 15. V, თბილისი; მ. გაბრიჭიძე — 39,14 (45), ქუთაისი, „განთიადი“. 31. X, თბილისი.

საშუალო შედეგი: 1965 წ. — 42,56; 1966 წ. — 42,23.

შუბის ტყორცნა — ც. ლიპარტელიანი — 45,43 (46), თბილისი, „ბურევესტნიკი“. 12. X, თბილისი; ს. პოლი — 44,42 (47), სოხუმი, „დინამო“. 8. X, ბათუმი; ვ. სლანოვა — 42,95 (48), თბილისი, „ბურევესტნიკი“. 19. VII, ტარტუ; შ. წამალაშვილი — 39,40 (43), რუსთავი, „განთიადი“. 26. IX, რუსთავი; ი. თურმანიშვილი — 38,64 (46), თბილისი, „ბურევესტნიკი“. 12. X, თბილისი; ლ. ბეჟანოვა — 38,45 (46), თბილისი, „ბურევესტნიკი“. 2. III, თბილისი; ლ. ბაკალინა — 37,77 (49), სოხუმი, „დინამო“. 3. III, თბილისი; დ. საბაური — 37,68. (50), თბილისი, განათლების განყოფილება. 16. VII, მოსკოვი; ე. ბულალაშვილი — 36,57 (49), თბილისი, განათლების განყოფილება. 29. IV, თბილისი; ე. ლომიძე — 35,10 (46), თბილისი, „ბურევესტნიკი“. 2. III, თბილისი.

საშუალო შედეგი: 1965 წ. — 38,24, 1966 წ. — 39,64.

ბირთვის კვრა — მ. თათარაშვილი — 14,11 (46), თბილისი, „ბურევესტნიკი“. 29. V, თბილისი; ე. ბირინბერგი — 13,66 (45), თბილისი, „განთიადი“. 9. XI, თბილისი; ქ. კახიშვილი — 13,50. 10. VI. რუსთავი; ლ. ტულუში — 13,26. 19. VII, ტარტუ; ი. მხეიძე — 12,20 8. VII, ხერსონი; ც. ლიპარტელიანი — 12,10. 12. II, თბილისი; დ. საბაური — 12,03. 11. VI, თბილისი; მ. უჩაძე — 12,00. 13. V, თბილისი; ლ. კოზინა — 12,00 (46), ქუთაისი, „განთიადი“, 8. VII, ქუთაისი; გ. ზერაია — 11,97 (50) ფოთი, განათლების განყოფილება. 11. VI, თბილისი.

საშუალო შედეგი: 1965 წ. — 12,70, 1956 წ. — 12,66.

ხუთჭიდი — გ. კონონენკო — 4.310. 28-29. V, თბილისი; თ. როჟმანოვა — 4.072. 1-2. XI, თბილისი; ლ. შუმილინა — 3.910. 14-15. V, თბილისი; თ. პავლოვა — 3.874. 28-29. V, თბილისი; ს. პონომარიოვა — 3.841. 23-24. X, ბათუმი; ნ. გაბეხაძე — 3.820. 11-12. IV, თბილისი; ჯ. ჩუბინიძე — 3.811. 13-14. VI, თბილისი; ი. ავსაჯანიშვილი — 3.787. 14-14. V, თბილისი; ვ. თეთრაძე — 3.757. 1-2. XI, თბილისი, ლ. კოზინა — 3.755. 15-16. XI, ქუთაისი.

საშუალო შედეგი: 1965 წ. — 3.962, 1966 წ. — 3.895.

დასასრული. იხ. „ლელო“ №№ 6, 9, 10, 11.

რევანში!

რაც უფრო ახლოვდება სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა, მით უფრო ინტენსიურად ემზადებიან გუნდები. საქართველოს მოსწავლე-მძლეოსანთა ნაკრების კანდიდატები ზამთრის არდადეგებზე თბილისში შეიკრიბნენ ხანმოკლე ვარჯიშზე. სამწუხაროდ, შეკრებაზე რესპუბლიკის რაიონებიდან არც ერთი მწვრთნელი არ მოუწვევიათ, სახსრების დაზოგვა სურდათ, თუმცა, ეს სურვილი, რა თქმა უნდა, ყოვლად გაუმართლებელია. შემდეგ გაიმართა პირადი პირველობა, დაკომპლექტდა გუნდი, რომელიც ბაქოს გაემგზავრა აზერბაიჯანელ ათლეტებთან ტრადიციულ მატჩში მონაწილეობის მისაღებად.

ბაქოში მხოლოდ საშუალო ასაკის მოსწავლე-მძლეოსნები ასპარეზობდნენ. უმაღლეს სასწავლებლებში ზამთრის სესიები ტარდებოდა და უფროსი ასაკის ჭაბუკები და ქალიშვილები გუნდურ ჩათვლაში არ გამოდიოდნენ. როგორც ცნობილია, წინა ამგვარ შეხვედრაში აზერბაიჯანელებმა გაიმარჯვეს, ახლა კი საქართველოს სპორტსმენებმა იოლად აიღეს რევანში — 43:31. გოგონებმა პროგრამის 11 სახეობიდან 8 მოიგეს, ჭაბუკებმა კი 14-დან 10. დავუმატებთ, რომ შეჯიბრება საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით მიმდინარეობდა.

პირად პირველობაში ჩვენი რესპუბლიკის 10 უფროსი ასაკის მძლეოსანი გამოდიოდა. მათ მოიგეს ყველა სახეობა გარდა 3000 მეტრზე რბენისა. თბილისსა და ბაქოში ნაჩვენები შედეგებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია დუშეთის რაიონის სოფელ ანანურის საშუალო სკოლის მოსწავლის — ნათელა ჩიკოიძის წარმატება. მან შუბი 37,08 მეტრზე ტყორცნა და პირველობა დაისაკუთრა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს გოგონა ამგვარ ტურნირში პირველად მონაწილეობდა, ეჭვი არ არის, მისი სახით კარგი მტყორცნელი გვეზრდება (ჩიკოიძეს ეკუთვნის გოგონათა რესპუბლიკური რეკორდი ხელყუმბარის ტყორცნაში — 52,93 მ).

კარგად იასპარეზეს თბილისელებმა ლ. ზგონიკოვამ — 80 მ თარჯრბენში (12,1) და ი. ფედოტოვამ — 400 მეტრზე რბენაში (1.02,2). ორივე ეს მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია ამ პერიოდისთვის.

ფოთელმა მოსწავლემ, მრავალჭიდელმა ვ. ქავთარაძემ ნამდვილი მებრძოლის თვისებები გამოავლინა. მიუხედავად იმისა, რომ 110 მეტრზე თარჯრბენისას დაშავდა. მან საუკეთესო შედეგები აჩვენა ექვსჭიდის ბოლო სახეობებში — ბირთვის კვრასა და ჭოკით ხტომაში და გამარჯვებაც დაისაკუთრა. 2-კილოგრამიან ბადროს ტყორცნაში ჭაბუკთა ახალი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა ხაშურელმა მ. ჟანკოციანმა — 42,03 მ.

ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენი ნაკრების კანდიდატთა ნაწილმა გააუარესა ზაფხულის მაჩვენებლები, რაც ძირითადად წვრთნის არანორმალური პირობებითაა გამოწვეული. გაოცებას იწვევს განათლების სამინისტროს სპორტსკოლის სტადიონის გაჭიანურებული რემონტი. ამ სარბიელის ყველა ბილიკები დღესაც გადათხრილია.

ბ. ტახტაროვი,
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

[illegible]

ბათუმი

სამ დღეს გრძელდებოდა აჭარის პირად-გუნდური პირველობა ტყვიის სროლაში. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს დინამოელებმა, II ადგილზეა დოსააფი, III — „განთიადი“. დ. ანასტასიადიმ („განთიადი“) და ს. მეავანაძემ („კოლმეურნე“) პირველად შეასრულეს სპორტის ოსტატის ნორმა.

ი. ბერძენიშვილი.

ჭიათურა

დამთავრდა „განთიადის“ ჯანმრთელობის სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო შაში, ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი, ფრენბურთი და ბაგირის გადაწევა. გაიმარჯვეს მთავარი მექანიკური სამმართველოს ფიზკულტურელებმა.

მ. ლაბაძე.



ამ ქალიშვილებმა, რომელთაგან ნონა გაფრინდაშვილი (ცენტრში) და ნანა ალექსანდრია, ალბათ, იცანით, შორს გაიტანეს ქართული ჭადრაკის დიდება. მესამე ციური კობაიძეა, რომელმაც ამას წინათ გოგონათა შორის სსრ კავშირის ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა.

ციური ახლახან დაბრუნდა თბილისში და თავის სახელოვან კოლეგებს რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში, XXXIV საჭადრაკო ჩემპიონატზე შეხვდა. იგი ნონასა და ნანას უამბობს ტულის ბრძოლების ამბებს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ჭადრაკის ამბები

ბევერვეიკი, 15 იანვარი. საჭადრაკო ფესტივალის მთავარი ტურნირის III ტურში ბ. სპასკიმ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა უძლიერეს იუგოსლაველ დიდოსტატ ს. გლიგორიჩთან. მეორე საბჭოთა მოჭადრაკე ა. ლუტიკოვმა კი დაამარცხა კ. დარგა (გფრ). ახლა ლუტიკოვს 3 ქულა აქვს, სპასკის — 2,5. გლიგორიჩსა და ლ. კავალეკს (ჩეხოსლოვაკია) — 2-2.

ვრნიაჩკა-ბანია, 15 იანვარი. იუგოსლავიის ამ საკურორტო ქალაქში მიმდინარეობს მსოფლიო პირველობის ზონალური ტურნირი, რომელშიც ევროპის 12 ქვეყნისა და თურქეთის მოჭადრაკენი მონაწილეობენ. 3 ტურის შემდეგ დაწინაურდა პ. მორლოკი (გფრ) — 2,5 ქულა. შეჯიბრების მთავარი არბიტრია საერთაშორისო ოსტატი მ. იუდოვიჩი (უფროსი).

კარაკასი, 15 იანვარი. ვენესუელის დედაქალაქში მსოფლიოს პირველობის ზონალურ ტურნირში საასპარეზოდ ჩამოვიდნენ კუბის, კოლუმბიის, პუერტო-რიკოს, პანამის, ეკვადორის, ანტილის კუნძულების მოჭადრაკენი. თავისუფლების კუნძულის სპორტულ ღირსებას დაიცავენ ე. ჰიმენესი და რ. ორტეგა.

ცსკა — პირველ ადგილზე

იუგოსლავიის დედაქალაქ ბელგრადში დამთავრდა კალათბურთელთა საკლუბო გუნდების საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ცსკა, სოფიის „აკადემიკი“ და იუგოსლავიის 2 კოლექტივი — „ცრვენა ზვეზდა“ და „ბეოგრადი“.

ტურნირის პირველ კალენდარულ დღეს საბჭოთა კალათბურთელებმა დაამარცხეს ბულგარეთის „აკადემიკი“ — 74:60 (42:27). იუგოსლავიის გუნდების შეხვედრაში გამარჯვება წილად ხვდა „ბეოგრადს“ — 84:75 (39:41).

მეორე ტურში ყურადღების ცენტრში იყო საბჭოთა კალათბურთელებისა და „ცრვენა ზვეზდას“ ორთაბრძოლა. ამჯერადაც გაიმარჯვეს მოსკოვის არმიელებმა — 75:66 (33:24). „ბეოგრადმა“ დაძაბულ ბრძოლაში სძლია სოფიის „აკადემიკს“ — 75:66 (33:24).

ტურნირის გადამწყვეტ ეტაპს მოსკოვის ცსკა და „ბეოგრადი“ დაუმარცხებლად მიადგნენ. მათ ორთაბრძოლას უნდა გადაეწყვიტა I ადგილის ბედი. არმიელებმა ეს მატჩი ჩაატარეს მაღალ დონეზე, მონდომებით და გაიმარჯვეს დიდი უპირატესობით — 86:56. როგორც ბელგრადის პრესა აღნიშნავს, ეს იყო ტურნირის საუკეთესო მატჩი. საბჭოთა სპორტსმენებმა მრავალრიცხოვან მაყურებელს აჩვენეს მაღალტექნიკური, თანამედროვე კალათბურთი. გამარჯვებული გუნდის შემადგენლობაში თამაშობდნენ ვოლნოვი, ლიპსო, ანდრეევი, სელიხოვი, ალაჩაჩიანი, კაპრანოვი, კულკოვი, ასტახოვი, კოვალიოვი, ნესტეროვი.

პირველი ეტაპის შემდეგ

შვეციის ქალაქებში დამთავრდა ხელბურთელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატის I ეტაპი — წინასწარი თამაშები. ქვეჯგუფებში გამოვლინდნენ მეოთხედფინალისტები, ხოლო მათ, ვინც ამ სანუკვარი მიჯნის ხიღმა დარჩა, ან მაყურებლებში გადაინაცვლეს, ან დაღონებულნი ბრუნდებიან შინ.

სსრ კავშირის ხელბურთელებმა მეოთხედფინალში მონაწილეობის უფლება ყველაზე ადრე გაინაღდეს. ქვეჯგუფიდან, სადაც ჩვენს გარდა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი რუმინეთის ნაკრები, გდრ და კანადა გამოდიოდნენ, მათ მოუგეს ჯერ კანადის (28:9), ხოლო მერე გდრ-ის ათლეტებს (22:17).

მესამე შეხვედრა ჩვენს ხელბურთელებს გუშინწინ ჰქონდათ რუმინელებთან, რომლებმაც ფრედ (14:14) ითამაშეს გდრ-ის გუნდთან, თუმცა მერე იოლად დაამარცხეს კანადელები — 27:3. ჩვენთან შეხვედრაში მათ ფრეც ჰყოფნიდათ მეოთხედფინალში გასასვლელად. ამიტომ თამაში იმთავითვე შეუპოვრად დაიწყეს, მალე ინიციატივას საბჭოთა ხელბურთელები დაეუფლნენ. რუმინელებმა კარგა ხანს ვერაფერი მოუხერხეს ჯ. ცერცვაძეს, რომელმაც წინა 2 შეხვედრაში 14 გოლი გაიტანა და ქვეჯგუფში პირველი ბომბარდირის სახელს დაეუფლა. ამ შეხვედრებში თავი გამოიჩინა ი. ფხაკაძემაც. მან მეტოქეთა კარში 8 ბურთი გაიტანა. საბჭოთა სპორტსმენებს მეოთხედფინალში ადგილი გახაღდებული ჰქონდათ და დაუძაბავად თამაშობდნენ, მალე დაწინაურდნენ და პირველი ტაიმი მოიგეს კიდეც — 9:7.

შესვენების მერე ინიციატივა ისევ ჩვენს ხელბურთელებს ეპყრათ. მაგრამ შემდეგ, როცა ანგარიში 13:11 გახდა, რუმინელებმა ყველა ხერხი გამოიყენეს მიზნის მისაღწევად. მეტოქის კარში ოთხი ბურთი გაიტანეს და გაიმარჯვეს — 15:13.

სხვა ქვეჯგუფებში ბოლო მატჩები ასე დამთავრდა: იუგოსლავიამ მოუგო შვეციას — 21:17, გფრ-მ — უნგრეთს — 29:23, ჩეხოსლოვაკიამ — დანიას — 24:14.

ამრიგად, ქვეჯგუფებში I და II ადგილები ასე განაწილდა: „ა“ ქვეჯგუფი — იუგოსლავია (6 ქულა), შვეცია (4); „ბ“ ქვეჯგუფი — გფრ (6), უნგრეთი (4), „გ“ ქვეჯგუფი — რუმინეთი (5), სსრ კავშირი (4); „დ“ ქვეჯგუფი — ჩეხოსლოვაკია (6), დანია (4). აი, ეს 8 გუნდი გააგრძელებს მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედლებისთვის ბრძოლას.

„გადამკვეთი პარალელები“

ახალი წიგნები

ჟურნალისტ ალექსანდრე კიკნაძეს კარგად იცნობენ არა მარტო ჩვენში, არამედ საზღვარგარეთაც. მისი წერილები, ნარკვევები, ჩანახატები ყოველთვის მსუბუქად და სიხალისით იკითხება. ა. კიკნაძე ფაქტების უბრალო აღმწერი როდია. იგი ოსტატურად უთავსებს ჟურნალისტის ალღოს და მწერლის თვალს. ამაში ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, როცა გადავიკითხეთ მისი წიგნი „გადამკვეთი პარალელები“, რომელიც მოსკოვის გამომცემლობა „ფიზკულტურა ი სპორტმა“ გამოსცა. ეს არის ორიგინალურად და საინტერესოდ დაწერილი მონოგრაფია ჩვენს მოჭიდავეებზე.

კვალიფიციურ ნოველისტსაც კი შეშურდება მისი ეტიუდი „ჩხერელი ჭაბუკი“, რომელშიც გადმოცემულია ცნობილი ქართველი მოჭიდავის ანზორ კიკნაძის სპორტული ბიოგრაფია. დიახ, ეს არის ოსტატურად დაწერილი ამბავი, რომელსაც აქვს კლასიკური ნოველის ყველა დამახასიათებელი ნიშანი.

ან, რა შეუდარებლად არიან დაპირისპირებული ქაზიმ აივაზი და როსტომ აბაშიძე — თურქი და საბჭოთა ფალავანი. აქ გონივრულად არის წარმოდგენილი კაპიტალისტური და სოციალისტური სამყარო: ერთის მხრივ მოჭიდავე, რომელსაც მომავლის არავითარი პერსპექტივა არა აქვს, მეორეს მხრივ კი საბჭოთა ათლეტი, მეცნიერის ნათელი და საპატიო მომავლით.

მკითხველს უსათუოდ დაამახსოვრდება ლოზანელი მეწისქვილის, შვეციის გუნდის მწვრთნელისა და ჭიდაობის დაუცხრომელი ენთუზიასტის დენი პერეს სახე. პერე თავის საქმიანობაში მარტოდმარტოა, არავინ ეხმარება. იგი გაკოტრების გზაზეა დამდგარი, მაგრამ არაფრის წინაშე უკან არ იხევს, სურს, რაც აბადია, შესწიროს ჭიდაობის განვითარებას, რადგან მოჭიდავეთა კარგი ურთიერთობა ქვეყნად მშვიდობის გარანტიად მიაჩნია.

მოხდენილად, იუმორის ნამდვილი გრძნობით არის გადმოცემული დეიდა ნინოს ჩურჩხელების ამბავი ტოლიდოს მსოფლიო ჩემპიონატთან დაკავშირებით.

ძვირფასო მკითხველო, თუ წიგნის მაღაზიაში შეხვდებით პატარა, ლამაზად გაფორმებული წითელი ფერის ბროშურას, რომელშიც ჭიდაობის მეტად დამახასიათებელი მომენტია გამოსახული, იყიდეთ იგი, არ ინანებთ. ბევრ და საინტერესო ამბავს გაგაცნობთ ჩვენს მოჭიდავეებზე ა. კიკნაძის წიგნი — „გადამკვეთი პარალელები“.

ბ. ღარსაძე.

ახალი ამბები

● **ოსლო**, 15 იანვარი. აქ გაიმართა სსრ კავშირისა და ნორვეგიის მოციგურე ქალთა საერთაშორისო შეჯიბრება. ტურნირში ბრწყინვალედ გამოვიდა ოლიმპიური თამაშების ექვსგზის ჩემპიონი ლ. სკობლიკოვა, რომელმაც 3.000 მეტრზე რბენაში მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა — 5.05,9. მან სხვა დისტანციებზეც ისახელა თავი: 1.500 მეტრზე აჩვენა 2.23,0, 1.000 მეტრზე — 1.33,4. ორივე ეს შედეგი საუკეთესოა მსოფლიოში მიმდინარე სეზონში. სკობლიკოვამ II ადგილი დაიკავა 500 მეტრზე — 46,6. მრავალჭიდში კი 192,150 ქულა მოაგროვა. ასეთი მაჩვენებელი ოლიმპიური თამაშების შემდეგ არავის ჰქონია მსოფლიოში. მრავალჭიდში მეორე იყო ლ. ტიტოვა — 195,900 (მან მოიგო 500 მ რბენა მსოფლიოში საუკეთესო შედეგით — 45,7).

● ლენინგრადი, 15 იანვარი. კავგოლოვოს მიდამოებში დამთავრდა მოთხილამურეთა საერთაშორისო ტურნირი. ქალებში პირველი იყო კ. ბოიარსკიხი. მან ყველაზე კარგად ირბინა 10 კილომეტრზე — 36 წუთი, 31 წამი. ა. კოლჩინა 37 წამით ჩამორჩა გამარჯვებულს. ვაჟები 30 კილომეტრზე ასპარეზობდნენ. აქ ყველას ვ. ვედენინმა აჯობა — 1:39.47. II ადგილზეა ი. ვორონჩიხინი, III — ვ. ვორონკოვი. ორჭიდელებმა შეაჯამეს ორდღიანი ბრძოლა. გამარჯვება ე. ლოგინოვმა დაისაკუთრა.

● **ლენინგრადი**, **15 იანვარი.** გაიმართა მძლეოსანთა ასპარეზობა ზამთრის სტადიონის პრიზზე. კარგად გამოვიდა ნ. ჩიჟოვა, რომელმაც ბირთვის კვრაში — 17,61 აჩვენა. ეს მსოფლიოს საუკეთესო შედეგია წლევანდელ სეზონში.

● **მოსკოვი**, **15 იანვარი.** „შახტიორის“ კორტებზე გრძელდება მოსკოვის ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში. სსრ კავშირის 1965 წლის ჩემპიონმა სოომემ (ესტონეთი) დაამარცხა მოსკოველი ზინოვიევა, ხოლო ჩალკომ — პრეობრაჟენსკაია. წყვილთა ასპარეზობაში გამოვლენ სსრ კავშირის ექსჩემპიონები — ბაქოელი ლიხაჩოვი და ტალინელი ლეიუსი.

● ლვოვი, 15 იანვარი. არმიელ ძალოსანთა აქ გამართულ შეჯიბრებაში სსრ კავშირის რეკორდი დაამყარა ლვოველმა ვ. კრიშჩიშინმა. მძიმე წონის ათლეტთა ასპარეზობაში მან 116,5 კგ აჰიმა და 500 გრამით გააუმჯობესა წინანდელი რეკორდი. აღსანიშნავია, რომ იგი 1962 წლიდან ეკუთვნოდა ალმაათელ ს. ულიანოვს. კრიშჩიშინი მსოფლიოსა და სსრ კავშირის რეკორდსმენია იუნიორთა შორის. იგი სულ ახლახანს გამოვიდა მოზრდილებში და უკვე დიდი წარმატებაც მოიპოვა.

● **პარიზი**, **15 იანვარი.** აქ დამთავრდა საფრანგეთის ჩემპიონატი ციგურებით ფიგურულ სრიალში. ვაჟებში საუკეთესო იყო 17 წლის პ. პერა. ქალთა შორის დაძაბული ბრძოლა გაიმართა ს. დიუპანსა და მ. ჟუბერს შორის. გაიმარჯვა პირველმა. ცეკვებში ბადალი არ ჰყავდათ ბ. მარტენსა და ფ. გამიშონს.

● **ბუდაპეშტი**, **14 იანვარი.** რიგის ტტტ-ს კალათბურთელმა ქალებმა აშკარად დაჯაბნეს ევროპის ჩემპიონთა თასზე თავიანთი მეტოქეები — ბუდაპეშტის მტკ-ის სპორტსმენები — 49:36 (23:15). განმეორებითი შეხვედრა გაიმართება ხვალ, რიგაში.

● **ოსლო**, 15 იანვარი. ქალაქ ჰამარში დაიწყო მოციგურეთა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც გამოდიან ჰოლანდიის, ნორვეგიის, შვეციისა და სსრ კავშირის სპორტსმენები. 500 მეტრზე რბენა მოიგო ბ. გულიაევმა — 40,8. 3.000 მეტრ დისტანციაზე პირველი იყო მსოფლიო ჩემპიონი, ჰოლანდიელი კ. ვერკერკი — 4.31,0.

● **სიდნეი**, **16 იანვარი.** ავსტრალიელი მოცურავე, 19 წლის ჯ. ბენეტი მეხუთე სპორტსმენი გახდა მსოფლიოში. მოცურავეთა მარათონში — თავისუფალი სტილით 1500 მეტრ დისტანციაზე მან აჩვენა 16.57,9. მანამდე მაღალ შედეგებს ფლობდნენ ამერიკელები რ. საარი (16.58,7), ს. კრაუსი (16.58,6), მ. ბარტონი (16.41,6), აგრეთვე, საბჭოთა სპორტსმენი ს. ბელიც-გეიმანი — 16.58,5.

● **ბოსტონი**, 15 იანვარი. წარმატებით დამთავრდა აშშ-ის რეკორდსმენის ჯ. თომასის წლევანდელი პირველი გამოსვლა. „კოლუმბის რაინდთა“ ტურნირში მან დაძლია 218 სმ სიმაღლე და I ადგილი მოიპოვა.

● ვენა, 15 იანვარი. ფიგურულ სრიალში მსოფლიო ჩემპიონმა ე. დანცერმა მოიპოვა თავისი ქვეყნის ჩემპიონის წოდებაც. ქალებში იმარჯვა 14 წლის ბ. შუბამ.

● ბრეგენცი, 15 იანვარი. ავსტრიის ფეხბურთში პირველად ამ ქვეყნის ფეხბურთელ თა ეროვნული ნაკრების უფროს მწვრთნელად დანიშნულია არა ვენელი სპეციალისტი, არამედ ფორარლბერგის მიწის მკვიდრი, 43 წლის ე. ალგეიგი ავსტრიის გუნდის რიგით მე-16 მწვრთნელია დაწყებული 1945 წლიდან.

სურათებზე: სახელმოხვეჭილი საბჭოთა მოციგურე ქალი ლ. სკობლიკოვა (მარცხნივ) და სსრ კავშირის ჩემპიონი 15 კმ სათხილამურო რბოლაში ა. აქენტიევი.

ფოტო ვ. გალაქტიონოვისა და ვ. შადრინისა (საკდესი).

თოვლმა ძალიან მოგვანატრა თავი საქართველოში. კარგა ხანს არც ბაკურიანში ჩანდა თეთრი საბურველი. მაგრამ ბაკურიანი რის ბაკურიანია, თუ სპორტის მოყვარულებს არ გაახარებს. ახლახან აქ ისე ხვავრიელად ითოვა, ტურისტებს კი არა, გამოცდილ სპორტსმენებსაც ჩაუკეტა გზა. გაჭირდა შეჯიბრების ჩატარება. არადა, დრო არ ითმენს — საქართველოს პროფკავშირთა ზამთრის სპარტაკიადა კარზეა მომდგარი. სპორტსაზოგადოებებს კი თავიანთი ტურნირები აქვთ გასამართავი, გუნდებიც დასაკომპლექტებელია.

თოვლის, მზისა და წმინდა ჰაერის სიყვარულმა მაინც თავისი გაიტანა. ქათქათა თოვლს კაცის ნაფეხური დააჩნდა, ბილიკები და სასრიალო გააკეთეს და ციგაობაც გააჩაღეს.

ეს სურათები — ბაკურიანის პეიზაჟი და ციგით მოსრიალე პატარები — გუშინწინ გადაიღო ჩვენმა ფოტორეპორტიორმა შ. დევდარიანმა.

რიკარდო გუირალდესი

დონ სეგუნდო სომბრა

ჯერ დიდხანს იწონებოდნენ მოჯირითენი, ჯერ ცხენების პატრონებმა იკამათონ, დააზუსტონ რბოლის ყოველი წვრილმანი, განსაზღვრონ ადგილები. მერე ცხენებს წრეში შეიყვანენ თვალის საფარებლების გარეშე, სტარტს მისცემენ და მხოლოდ მას შემდეგ, დავიჭერთ ადგილს სადმე, დისტანციის შუაში, საიდანაც ადვილად განვსაზღვრავთ შეჯიბრების მსვლელობასაც, თუ, რა თქმა უნდა, საყურებლად ეღირება. გადავწყვიტეთ დოღის პირობებს გავცნობოდით და დონ სეგუნდომ იქვე მიმავალ გლეხს მიმართა:

— სენიორ, ჩვენ აქაურები არა ვართ და სანამ სანაძლეოს ჩამოვიდოდეთ, გვსურდა ზოგი რამ გაგვეგო.

გლეხმა აგვიხსნა:

— პრიზი ორი ათასი პესოა. მხედრების წონას დამატებითი ტვირთით ასწორებენ. პირველ მეოთხედზე მხედრები ხაზს ასწორებენ და მაშინ მსაჯი დროს ინიშნავს. თუ ხუთი ცხენიდან რომელიმე შეჯიბრების გაგრძელებას ველარ შეძლებს, მაშინ წრიდან უნდა გავიდეს.

— გასაგებია.

— დღეს ბევრნი ჩამოსულან, ალბათ, დიდი თამაში იქნება.

— მით უკეთესი ღარიბებისთვის.

— ასე რომ, მოგება შეიძლება.

— ორივე ცხენი აქაურია?

— არა, სენიორ, ჭრელი შორიდან ჩამოიყვანეს. ჯიშიანია და კარგად მოვლილიც არის. ცელქი აქაურ მინდვრებზეა გამოზრდილი. თუ ცელქის წინააღმდეგ ჩამოდიხართ, ათპესოიან ერთ ან ორ სანაძლეოს მივიღებ.

— გმადლობთ, მეგობარო.

— როგორც გსურდეთ, თქვენი ნებართვით...

— კარგად ბრძანდებოდეთ. კიდევ ერთხელ გმადლობთ.

გლეხი წავიდა. დონ სეგუნდომ დასძინა:

— ეშმაკი ბიჭია! ეტყობა, იფიქრა, რომ ჩვენ ჭრელზე ვდებთ.

— თვითონ კი ცელქისა ღმერთივით სწამს? — სიტყვა ჩავუკარი.

— არა, არა! — წამოიძახა დონ სეგუნდომ. — მთავარი ცხენის ფერი კი არა, მისი ფეხებია.

უნდა გამოვტყდე, გულით მინდოდა ჩემი პესოები გამემეტებინა და თავს მხოლოდ სიფრთხილის გამო ვიკავებდი: მე ხომ ისე ცოტა რამ ვიცოდი შეჯიბრებაში მონაწილე ცხენებზე. ჯიბეში მოჩხრიალე ფულები მოსვენებას არ მაძლევდა. რამდენია იქ? ას ოთხმოცდათხუთმეტი პესო. მამლების ჩხუბზე მოგებული — ერთი. უკანასკნელი ჯოგის გადარეკაში მიღებული ორმოცდაათი პესო — ორი, სულ ორას ორმოცდახუთი. სამოცი პესო წინათ შენახული. ეს უკვე სამასხუთი; და ოთხმოციც, რომელიც ორ ცხენში ავიღე. სულ სამას ოთხმოცდა...

დონ სეგუნდომ მათრახის ტარი წამკრა და თვლა შემაწყვეტინა: ცხენები წრეში შეჰყავთო. იმ ადგილიდან, სადაც ჩვენ ვიდექით, ისინი კარგად მოჩანდნენ.

ცელქი ფეხებს მოუთმენლად ისროდა და ისე მიდიოდა. ეს იყო მოყვანილი, ღონიერი ცხენი, ამაყი და ფიცხი გამოხედვით. „როგორ უჭირავს თავი! ოდესმე მეც მეყოლება ეგეთი! — ვფიქრობდი მე. — მაგრამ, სანამ პოლკოვნიკი არ გავხდები, მანამდე არა“.

ჭრელი მეტოქეს არ ჩამოუვარდებოდა სილამაზით. მხედარს ცხენი სადავით მიჰყავდა. განიერი ნაბიჯით მიდიოდა. მსუქანი გვერდები ულაპლაპებდა; კისრის მიღერებითა და ფეხების მოყვანილობით მწევარს წააგავდა.

— ვინც რა უნდა ქნას, — აღმოხდა დონ სეგუნდოს, — მე კი, მართლაც, ლოთის რჩევას დავუჯერებ.

ცელქის მხედარი ჭაღარაულვაშიანი, გამხდარი კაცი, თავზე ინდიელის მოსახვევით, გარშემო იყურებოდა, თითქოს ჩასაფრებულ მტერს ეძებსო. კაცი, რომელსაც ჭრელი ცხენი სადავით მიჰყავდა, სიმაღლით თორმეტი წლის ბიჭუნას ჰგავდა, მისი შავგვრემანი, უწვერულვაშო სახე გულგრილად გამოიყურებოდა.

ცხენებმა სტარტი უკვე ორჯერ აიღეს. ლოთი მართალს ამბობდა: ცელქი პირველ მეტრებს ისეთი სიფიცხით იღებდა, გეგონებოდათ ყლაპავსო. ჭრელი კი პირიქით, რაღაც ტლანქად, გვერდულად მირბოდა.

როცა მეორე ცდის შემდეგ ცხენები სტარტზე დაბრუნდნენ, ჩვენ განზე გავედით, რომ ხალვათი ადგილი აგვერჩია. გარშემო ყველა სანაძლეოს დებდა, ორსავე ცხენზე ნიძლავდებოდნენ. შეჯიბრება გახურებული იყო, მე კი ერთი სანაძლეოც არ დამედო. უცებ ერთმა მსუქანმა, ეტყობა, ქისასავსე კაცმა მომმართა:

— გსურთ ოცი პესო? მე ჭრელზე ვდებ.

— ეგრე იყოს. — დაუფიქრებლად ვუპასუხე.

მან გაკვირვებით და, როგორც მომეჩვენა, ოდნავ იმედგაცრუებით შემომხედა.

— ორმოცს ხომ არ ინებებთ?

— კეთილი! — გავიმეორე მე.

— კიდევ ოცი?

მოთამაშენი ცნობისმოყვარეობით შემოგვაცქერდნენ. სადამდე აპირებს ეს ლიპიანი სანაძლეოს გადიდებას?

— ეგრე იყოს! — სიცილით მივიღე გამოწვევა.

— ოთხმოცზე რას იტყვი? — ჩემი მოწინააღმდეგის ხმა სულ უფრო ნაზად ისმოდა.

გარშემორტყმული ხალხი სულმოუთქმელად ელოდა ჩემს პასუხს. მსუქანს თვალებში შევხედე და წინადადება მივეცი:

— რატომ ასი არა?

— თანახმა ვარ, — მიპასუხა.

ჩვენს გარშემო ხალხი შეგროვდა, თითქოს პრიზის ასაღებად ერთმანეთს უნდა შევჯიბრებოდით. მცირე შესვენების შემდეგ, რაც კი შემეძლო, მოთაფლული ხმით წარმოვთქვი:

— გსურთ ას ორმოცდაათი?

ჯიბესქელმა კმაყოფილებით ჩაიცინა და უკვე ჩვეულებრივი ტონით დაამთავრა:

— არა, გმადლობთ. მეყოფა.

— მოდიან! მოდიან! — დაიყვირეს უცებ ბრბოში.

ერთმანეთის გვერდით, ერთმანეთს გოჯსაც არ უთმობდნენ, ისე მოგვიახლოვდნენ, წინ ჩაგვიქროლეს და მოსახვევისკენ გაეშურნენ. მაყურებლებმა კისერი წაიგრძელეს და უნაგირებზე წამოყელყელავდნენ. თოკის ზღუდეს ყოველი მხრიდან მიაწყდა ხალხი. წინ მდგომთა თავებს შორის მოჩანდნენ მხედრები, რომლებიც მოსახვევთან მიახლოებისას მათრახებს იქნევდნენ. ყველანი მიყუჩდნენ და შეჯიბრების შედეგების მაუწყებელ შეძახილს ელოდნენ, — პირიდან პირში გადაცემული ამბავი ყველაზე ფიცხ ცხენზე სწრაფად შემოუვლის წრეს.

— ფრე! — გადაირბინა მაყურებლებში. — ფრე!

სანაძლეოს არ იხდიან! — მაგრამ მაყურებლებმა ამ ახალ ამბავზე აზრთა გაცვლა-გამოცვლა ვერც კი მოასწრეს, რომ გაისმა ახალი, როგორც ჩანს, უფრო სარწმუნო ხმები:

— ჭრელი პირველი მივიდა!.. თავით გაასწრო!

— არავინ არაფერი იცის! — კვლავ დაიყვირა ვიღაცამ, — მსაჯები კამათობენ.

მაგრამ მაყურებელთა უმრავლესობამ წინა ცნობა უკვე დაიჯერა და ასობით პირი ხმამაღლა ღრიალებდა:

— ჭრელმა თავით მიასწრო!

ჯიბიდან ფული ამოვიღე, ასი პესო გადავთვალე და ლიპიანს მივაწოდე, — ის თავაზიანად მელოდა, მოუთმენლობას არ იჩენდა.

— აი, ინებეთ.

— გმადლობთ.

ჩემგან განსხვავებით, დონ სეგუნდომ ქისაში ორმოცდაათი პესო ჩადო.

— წავალ, ვნახავ, ხომ არ შევხვდები კიდევ ერთ ლოთს, — ეშმაკური ღიმილით თქვა მან და ისე დაფაცურდა, თითქოს მართლაც ეშინოდა, ხელსაყრელი შემთხვევა ხელიდან არ გაეშვა.

სიბრაზისგან ვკანკალებდი. ბედი არ მწყალობდა!

მეჯოგეებთან ერთად ორღობეში გავჩერდით, სადაც მოთამაშენი შეჯიბრების წვრილმანებს განიხილავდნენ.

— ცელქისნაირთან წყვილში, როგორც ორჯერ ორი ოთხია, ისე მოიგებთ, — უმტკიცებდა რომელიღაც გლეხს მდიდრულად მორთულ წაბლაზე მჯდომი მოხუცი.

(დასასრული)

გაგრძელება. იხ. „ლელო“ №№ 10, 11.

იხ. შემდეგ ნომერში...

△ სან-ფრანცისკო. მძლეოსანთა შეჯიბრებაში, რომელიც დახურულ შენობაში გაიმართა, ბოსტონმა სიგრძეზე ხტომაში 768 სმ აჩვენა. სიგნერმა კი 513 სმ დაძლია ჭოკით.

△ პორტ-არტური (სამხრეთ კანადა). კანადის ჩემპიონობა ქალთა მძლეოსნურ კროსში მოიგო 13 წლის გოგონამ ე. მახმა.

ფეხბურთი

ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

ინგლისი: ლიდერები იგებენ — 1:0

შაბათს ინგლისის ჩემპიონატის სამივე ლიდერმა 2-2 ქულა მოიპოვა. „ლივერპულმა“ შეფილდში მოუგო „შეფილდ უენსდეის“ — 1:0. გოლი გაიტანა ტომპსონმა. „მანჩესტერ იუნაიტედმა“, აგრეთვე საკუთარ მინდორზე, ულრესად შეუპოვარი ბრძოლა მოუგო ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურს“ მინიმალური ანგარიშით — 1:0. გოლის ავტორია ჰერდი. „ნოტინგემ ფორესტმა“ გაიმარჯვა „ლიდს იუნაიტედთან“ და აქაც ანგარიში იყო 1:0.

საუკეთესო სნაიპერია ჰერსტი („ვესტ ჰემ იუნაიტედი“) — 23 გატანილი გოლი.

დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: „არსენალი“ — „მანჩესტერ-სიტი“ 1:0, „ასტონ ვილა“ — „ბლეკპული“ 3:2, „ბერნლი“ — „ნიუკასლ იუნაიტედი“ 0:2, „ფულჰემი“ — „ვესტ-ბრომვიჩ ალბიონი“ 2:2, „საუთჰემპტონი“ — „ლესტერ-სიტი“ 4:4, „სანდერლენდი“ — „ჩელსი“ 2:0, „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ „სტოკ-სიტი“ 1:1, „ევერტონი“ — „შეფილდ იუნაიტედი“ 4:1.

აი, ლიდერებიც:

	თ.	ბ.	ქ.
„ლივერპული“	25	46:28	35
„მანჩესტერ იუნაიტ“.	25	50:33	35
„ნოტინგემ ფორესტი“	26	39:30	34
„სტოკ-სიტი“	26	46:32	32

შოტლანდია: კვლავ „სელტიკი“

შაბათს, გლაზგოს „სელტიკმა“ გასვლითი შეხვედრა მოუგო „სენტ-ჯონსტონს“ — 4:0, ხოლო „გლაზგო რეინჯერსმა“ შინ დაამარცხა „დანდი იუნაიტედი“ — 3:1.

დანარჩენი შეხვედრები დამთავრდა ასე: „ეირდრიონიენსი“ — „დანფერმლაინ ატლეტიკი“ 0:3, „ეირ იუნაიტედი“ — „ფოლკერკი“ 0:1, „კლაიდი“ — „აბერდინი“ 0:0, „დანდი“ — „პართ ოფ მიდლოთიენი“ 1:1, „ჰიბერნიენი“ — „მადერუელი“ 2:1, „სენტ-მირენი“ — „პარტიკი“ — 0:3, „სტელინგ ალბიონი“ — „კილმარნოკი“ 1:4

ლიდერთა სამეული ასეთია:

	თ.	ბ.	ქ.
„სელტიკი“	19	67:23	33
„გლაზგო რეინჯერსი“	17	53:16	27
„აბერდინი“	18	39:21	26

იტალია: „ინტერი“ კვლავ წინაა

გასულ კვირას ფლორენციის „ფიორენტინამ“ მიიღო გათამაშების ლიდერი — მილანის „ინტერნაციონალი“. ანგარიში გახსნა მასპინძელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ბრუნომ — 1:0. 2 წუთის შემდეგ ბედინმა გაქვითა გოლი — 1:1. მეორე ნახევარში გუარნერიმ თავით გაიტანა მეორე გოლი და „ინტერმა“ გაიმარჯვა — 2:1.

ტურნირში ადგილობრივმა „იუვენტუსმა“ მოუგო ვიჩენცას „ლანეროსის“ 2:0. „მილანმა“ შინ ფრედ ითამაშა „ბოლონიასთან“ 1:1.

დანარჩენი შედეგები ასეთია: „სპალი“ — „კალიარი“ 0:0, „მანტოვა“ — „ატალანტა“ 0:0, „ფოჯა“ — „ლაციო“ 2:1, „ნაპოლი“ — „ლეკო“ 4:1, „რომა“ — „ვენეცია“ 1:0.

საუკეთესო სნაიპერია ქ. ჰამრინი („ფიორენტინა“) — 11 გოლი.

აი, ლიდერებიც:

	თ.	ბ.	ქ.
„ინტერნაციონალე“	16	28:9	25
„იუვენტუსი“	16	22:7	24
„ნაპოლი“	16	20:10	22
„კალიარი“	16	20:5	21

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

6

უე 00620